

ახალი სახის ბოჭკო „ლონა“-ს თვისებები.

ბაკურაძე ე.ი., ზივზივაძე ბ.ლ., ვადაჭკორია ზ.ა., ბაკურაძე კ.ე., აბესაძე ნ.მ.

ნაშრომში განხილულია საავტორო ტექნოლოგიების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების საწარმოო ტექნოლოგიური ნარჩენების და მაკორექტირებელი დანამატის გამოყენებით გამომუშავებული ახალი საფეიქრო ბოჭკოს „ლონა“-ს ტექნოლოგიურ-საექსპლუატაციო თვისებების (ტემპერატურა და აგრესიული გარემოსადმი მდგრადობა, ბოჭკოს სიმტკიცე დრეკადობის მიმართ, აკუსტიკური და ბგერაშთანთქმის უნარი, გაწევის მიმართ ბოჭკოს სიმტკიცე) კვლევის შედეგები. ბოჭკოს თავისი თვისებებით დიდი უპირატესობა აქვს დღეისათვის მსოფლიოში გამოყენებულ მრავალ ბოჭკოებთან შედარებით და მსოფლიოსათვის წარმოადგენს სიახლეს.

რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობა მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით (საქართველოს შემთხვევა).

ნაბახტაიანი გ.ნ., გორგაძე კ.მ., თვალთაშვილი ვ.ზ., გიორგაძე ი.ს., ხიზანიშვილი შ.მ.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მთავარი მიზანია ადამიანის და გარემოს დაცვა მისი მავნე ზემოქმედებისგან. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო დღევანდელი ეფექტები, არამედ მოვლენები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს შორეულ მომავალშიც. ამ მხრივ მოსახერხებელია გამოყენებული იქნეს რადიოაქტიური ნარჩენების კლასიფიკაცია. რადიოაქტიური ნარჩენების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროები, რომელთა კლასიფიკაცია საქართველოში ჯერ მიღებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული ნარჩენების ძირითად ჯგუფს სწორედ ასეთი წყაროები წარმოადგენს. მოცემული სტატია სამეცნიერო შეფასებაზე დაყრდნობით იძლევა გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების, როგორც რადიოაქტიური ნარჩენების, კლასიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს ქართულ რეალობებს და სრულად შეესაბამება არსებულ საერთაშორისო კლასიფიკაციას. საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი დახურულია და ამჟამად ხორციელდება მხოლოდ მათი უსაფრთხო შენახვა, რა მიზნითაც გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროები განთავსებული არიან დამცავ კონტეინერებში. სტატია იძლევა ასეთი კონტეინერის გათვლას სტანდარტული წყაროსთვის. ამასთან, ყურადღება მახვილდება გაბნევის ფაქტორის გათვალისწინებაზე, რომელიც თავის მხრივ საკმაოდ ართულებს გათვლას. მიღებული შედეგები ნათლად ცხადყოფენ, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებლობა დაუშვებელია, განსაკუთრებით წყაროდან დაშორებისას. გათვლები ნათლად აჩვენებს, რომ მანძილის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება სხვაობა ორი მეთოდით (გაბნევის ფაქტორის გათვალისწინებით და მის გარეშე) გათვლილ სიდიდეებს შორის. კერძოდ, კონტეინერის ზედაპირიდან გამოსხივების დოზის სიმძლავრეში 10 სმ მანძილზე განსხვავება ორ თანრიგს აღწევს. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მოყვანილი გათვლები შესრულებულია კომპიუტერული პროგრამა MicroShield-ის საშუალებით. მოცემული გათვლები შეიძლება გამოყენებული იქნეს გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების დამცავი კონტეინერების დასამზადებლად.

რადიოდაფარვის ზონაში შექმნილი ელექტრომაგნიტური სიტუაციის შეფასების ზოგიერთი საკითხი. ზურაბიშვილი ვ.ი., სვანიძე თ.ს., ლაფგრაშვილი დ.ლ., ბერიაშვილი დ.ბ., ფერაძე ლ.ე.

განხილულია რადიოდაფარვის ზონებში ელექტრომაგნიტური სიტუაციის შეფასების ზოგიერთი საკითხი. შეფასება ხორციელდება საკონტროლო წერტილებში ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის პრაქტიკული გაზომვებისა და თეორიული გათვლების საფუძველზე, არსებული ელექტრომაგნიტური ფონის გათვალისწინებით. წარმოდგენილია ველის ნაკადის სიმკვრივის საკონტროლო წერტილების ანტენიდან დაშორების მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკები ელექტრომაგნიტური ფონით და მის გარეშე.

ტექსტილურ კომპოზიტებში სისტემების „ბოჭკო-შემაკავშირებლის“ რღვევის პროცესის კვლევა. მოსეშვილი თ.ე.

უგრესო (შეწებილი) ნართი შეიძლება განვიხილოთ როგორც ტექსტილური კომპოზიციური მასალა, რომელშიც პარალელურად განლაგებული მოკლე სიგრძის ბოჭკოები ერთმანეთთან შემწევაში მასალით არიან დაკავშირებული. ასეთი ნართი შედგება სისტემების „ბოჭკო-შემაკავშირებელი“ ერთობლიობისაგან, რომლებიც უწყვეტ სისტემას ქმნიან და გადაცემენ გარეგან დატვირთვებს. ბოჭკოებით არმირებული კომპოზიტის ელემენტს წარმოადგენს ბოჭკოს უბანი მასზე მიერთებული შემწევაში მასალის ფენით. ექსპერიმენტალურად დადგენილია, რომ ასეთი ნართის წავრძელება გაჭიმვისას დამოკიდებულია დატვირთვის სიდიდეზე, შენაწების გეომეტრიულ ზომებზე, კერძოდ, ბოჭკოთაშორის დაშორებაზე და დატვირთვის მიმართულებით შენაწების ფართზე. ძირითადად

რღვევა ხორციელდება ბოჭკოსა და შემწვბავი ფენის შეერთების ადგილზე, ან იშვიათ შემთხვევაში ხდება ბოჭკოს წყვეტი. კოეზიურ გაგლეჯვას ადგილი არ აქვს.

ნეირონული ქსელის ფორმირება სწავლების პროცესში.

ვერულავა თ.გ., ჩხაიძე მ.ნ., თავდიშვილი თ.ს.

განიხილება ფორმალური ნეირონის სწავლების პროცესი და ამოცნობის შეცდომების გასწორება წონითი კოეფიციენტებისა და ნეირონის ზღურბლის კორექტირებით. სწავლების ალგორითმი შედგება ორი ეტაპისგან: ა) განსახილველი სახის აღწერების ფორმირება საწყისი აღწერების და სახის სასწავლო ნაკრების რეალიზაციების გამოყენებით; ბ) საბოლოო აღწერების ფორმირება სხვა სახეების აღწერებისა და მათი რეალიზაციების გამოყენებით. შეცდომების გასწორების ალგორითმი წარმოადგენს იტერაციულ პროცედურას, სადაც ყოველი ბიჯი იწყება უცნობი რეალიზაციის წარდგინებით ამოცნობაზე და ამოცნობის შედეგიდან გამომდინარე მთავრდება დაჯილდოების ან არ დაჯილდოების პროცედურით. ფორმალური ნეირონებით ამოცნობის პროცედურა ერთდროულად გამოიყენება სახეთა აღწერების, შეცდომების გასწორებისა და ნიშანთვისებათა შეფასების ალგორითმების განსახორციელებლად. შემოთავაზებულია ფორმალური ნეირონით ამოცნობის პროცესის კომპაქტური და ორიგინალური აღწერა.

ჭკვიანი ინტერაქტიული მრავალფუნქციური ტექსტილი.

ფაილოძე ნ.ო., ბუაძე ე.პ., ბოჭორიშვილი რ.ი., ფესტგენიძე თ.კ., კიკვიძე ი.ო.

სამუშაო მიზნად ისახავს მოკრძალებული წვლილი შეიტანოს კონკრეტული სამედიცინო დანიშნულების საფეიქრო მასალების (ტექსტილის) შექმნის საქმეში, რომლებიც ჩვენს მიერ მინიჭებული სპეციფიკური თვისებების გამო გამოყენებული იქნებიან სხვადასხვა სახის დაავადებების სამკურნალოდ.

მთრიმლავი და მღებავი ნივთიერებების კვლევა დასავლეთ საქართველოში ველურად მზარდ კენკროვნებში.

ყიფიანი ა.გ., გამყრელიძე ე.ა.

სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს, მთასა და ბარში, ველურად მზარდი მაცვლის ნაყოფების შემადგენლობაში მყოფი, მთრიმლავი და მღებავი ნივთიერებების საერთო რაოდენობების ცვლილება, სიმწიფის სხვადასხვა სტადიაზე. დადგინდა იქნა, რომ მაცვლის უმწიფარი ნაყოფები შეიცავენ აღნიშნული ნივთიერებების მაქსიმალურ რაოდენობას, რომლებიც ნაყოფებს ანიჭებენ სპეციფიურ მწკლარტე გემოსა და შესაბამის შეფერილობას. მომწიფების პროცესში აღნიშნული ნივთიერებების რაოდენობა თითქმის ორჯერ, ხოლო სრული სიმწიფის დროს მათი რაოდენობა 0,09-0,2%-მდე შემცირდა, რამაც უზრუნველყო გემოს შერბილება და შეფერილობის გაძლიერება, კატეხინებისა და ლეიკოანტოციანების მღებავ ნაერთებად გარდაქმნის გამო. მიზანშეწონილია მაცვლის ნაყოფები გამოყენებულ იქნეს სრული სიმწიფის სტადიაზე.

ნავთობის საბადოების პერსპექტივები საქართველოში.

ბერიძე ნ.გ., მაჭარაძე მ.გ.

სტატიაში განხილულია მთიანი კახეთის, კერძოდ ვეძების ნავთობის საბადოს პერსპექტივები. წამოყენებულია ნავთობის დედაქანის სავარაუდო არსებობის შესაძლებლობა ლიასურ ნალექებში, მის ზემოთ განლაგებულ, უფრო ახალგაზრდა ნალექებში კი იურულიდან წამოსული ნავთობის კოლექტორების არსებობა, რომლებიც შეიძლება დიდი ქართული ნავთობის საბადოები აღმოჩნდეს. დასახულია ამ მიდამოებში 2 და 3 სეისმური სამუშაოების ჩატარების შემდეგ ღრმა საძიებო ბურღვითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობა. ავტორების აზრით სამრეწველო ნავთობი საქართველოში „იყო, არის და იქნება!“

შეცდომათა ალბათობის კოეფიციენტის (BER) ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენა გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის (ბცბ/ს) მიმღების გადამწყვეტ მოწყობილობაში.

სვანიძე რ.გ., ჩხაიძე მ.თ., კოდალაშვილი ა.დ.

ნაშრომში წარმოდგენილია შეცდომათა ალბათობის კოეფიციენტის (BER) ოპტიმალური მნიშვნელობის განსაზღვრა გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის (ბცბ/ს) მიმღების გადამწყვეტ მოწყობილობაში ზღურბლის დონის შერჩევით ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო გაერთიანების ITU-ს მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ჯიტერის შეფასების საკითხები გადაცემის ციფრულ ბოჭკოვან-ობტიკურ სისტემებში.
სვანიძე რ.გ., ჩხაიძე მ.თ.

ნაშრომში განხილულია ჯიტერის წარმოშობის მიზეზები გადაცემის ციფრულ ბოჭკოვან-ობტიკურ სისტემებში, ჯიტერის ფიზიკური არსი, ჯიტერის კავშირის ხარისხზე შესაძლო გავლენის პირობები.

ჰეტეროგენული სისტემების თერმოდინამიკური შეფასების ალგორითმის მათემატიკური მოდელი.
ერისთავი დ.გ., გოგიშვილი ა.რ., სარუნანიშვილი ა.გ., გუგეშიძე მ.კ., ქერქაძე ჯ.გ., მაცაბერიძე ე.ლ.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა რთული ჰეტეროგენული სისტემების ემპირიული ექსპერიმენტების შეცვლის კონცეფციის დასაბუთება შესაბამისი თერმოდინამიკური პროცესების მოდელირებით ეგზემპლარულად. შესასწავლი სისტემების მიზნობრივი პროდუქტების მიღების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა კომპონენტების თანაფარდობის ფართო დიაპაზონისათვის, ასევე კომპონენტებს შორის ურთიერქმედების დაწყების ტემპერატურების დადგენა. განხილულია თერმოდინამიკური ანალიზის შედეგად 101 კპა აირადი ფაზის წნევისათვის პირველად ჩვენს მიერ აგებული "B-O-N-C" და "Si-O-N-C" სისტემების ფაზური დიაგრამები, რომლებიც იძლევიან სათანადო ტექნიკური პროცესების პროგნოზირების საშუალებას და მათ მექანიზმზე სამეცნიერო დასაბუთებულ წარმოდგენას. დადგენილია, რომ მსგავსი მიდგომის გამოყენება შესაძლებელია, ბუნებრივი გარემოს ტექნოგენური დაბინძურების პროცესების კომპიუტერული მოდელირებით, ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეული გარემოში არსებული მრავალი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების და მათ მიგრაციულ პროცესებზე შესასწავლად.

ბიტურ შეცდომათა ალბათობის კოეფიციენტის (BER) შეფასება გადაცემის ციფრულ ბოჭკოვან-ობტიკურ სისტემებში დროითი ჯიტერის გათვალისწინებით.

სვანიძე რ.გ., ჩხაიძე მ.თ.

ნაშრომში წარმოდგენილია დროითი ჯიტერის წარმოშობის ფიზიკური არსი და მისი გავლენა ბიტურ შეცდომათა ალბათობაზე (BER). შეფასებულია დროითი ჯიტერის ეფექტის გამო წარმოშობილი სიმძლავრის ჯარიმის ($P_{ჯარ}$) დამოკიდებულება ჯიტერისა და სისტემის გადაცემის სინქარის კომპლექსურ პარამეტრთან.

მაყვლის (*Rubus fruticosus*) ბიოლოგიური თავისებურებანი.

კაჭარავა თ.თ., დევაძე დ.ე.

სტატიაში განხილულია მაყვლის გენეტიკური რესურსი, მისი ბიოლოგიური და ქიმიური თავისებურებები, პროდუქტულობა, სამრეწველო პლანტაციის შექმნის ტექნოლოგია და როლი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვაში.

ბათუმის საზღვაო პორტის ეკონომიური ანალიზი და მისი განვითარების პერსპექტივები.

ჯიჯავაძე ნ.თ.

დღეს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობით, მას შეუძლია მიადწიოს ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ყოველივე აღნიშნული მიიღწევა საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფართო განვითარებით.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში.

ციხისთავი თ.თ., სვანიძე რ.გ.

ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ-ICT) ძირითადი მიმართულებების განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში. მოცემულია მისი დინამიკა და უახლოესი პროგნოზი.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) როლი ნაციონალურ ეკონომიკაში და მათი განვითარების კანონზომიერებები.

ციხისთავი თ.თ., სვანიძე რ.გ.

GEN, #2, 2017, გვ. 60-64, ქართ., რეზ. ინგ., ნახ.1, ცხრ.3, ლიტ.6.

ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ-ICT) როლი ნაციონალურ ეკონომიკაში და მათი განვითარების ზოგიერთი კანონზომიერება. მოყვანილია ა. ჯიბის დიაგრამის მნიშვნელობა და მისი ახლებური გააზრება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში.

თანამედროვე ბეტონის ნარევის დაპროექტების ძირითადი მოთხოვნები.

ბალიაშვილი გ.ი., სარჯველაძე ნ.გ., გოგოლაური ი.გ., ქათამაძე ი.ი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ბეტონის ნარევის კომპონენტების დახასიათება, მათი ზემოქმედება ბეტონის თვისებებზე, ფასზე, ეკოლოგიაზე და მათ შორის პროცენტული თანაფარდობის დადგენის ძირითადი საკითხების განხილვა.

ჯანსაღი კვების მეცნიერული და პრაქტიკული ასპექტები.

თაფლიძე შიგილი დ.რ., ლეჟავა ქ.ს., მამრიკიშვილი ლ.გ., კვირიკაშვილი ლ.დ.

განხილულია კვების როლი ადამიანის ცხოვრებაში, კვების მეცნიერული კონცეფციების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საკითხები, ბალანსირებული, ადეკვატური და ჯანსაღი კვების თეორიები და ძირითადი პრინციპები. მოყვანილია კვების რაციონებისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნები, გაანალიზებულია ფუნქციური კვების პროდუქტების გავრცელების სფეროები, მათი წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავების და ასორტიმენტის გაფართოების მიზანშეწონილობა.

რეგრესული სტატისტიკური ანალიზის გამოყენებითი ასპექტები.

ბუაძე ტ.გ.

ნაშრომში გადმოცემულია სტატისტიკურ მონაცემთა კორელაციური ანალიზის, რეგრესიის ფუნქციის აგებისა და გამოყენების ზოგიერთი მეთოდი პრაქტიკული, ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

მსუბუქი ბეტონის ტექნოლოგიის გაუმჯობესება.

ბალიაშვილი გ.ი., სარჯველაძე ნ.გ., ქათამაძე ი.ი.ჯღამაია ვ.თ.

სტატიაში განხილულია ადგილობრივი ცემენტის და შემსვების გამოყენებით მსუბუქი ბეტონის დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხები. მსუბუქი ბეტონი ერთ-ერთი საჭირო და იაფ სამშენებლო მასალას წარმოადგენს. მისი გამოყენებით შენობა-ნაგებობის თვითღირებულება მცირდება შენობის „მკვდარი წონის“ შემცირების ხარჯზე. წარმოდგენილია ბეტონის მოკლე ისტორია, ტერმინების განმარტება, ბეტონის კლასიფიკაცია, კორელაციური დამოკიდებულება ნარევის კომპონენტებს შორის და კონკრეტული ნარევის პროექტი.

Lepideum sativum - ნედლეული ანტიკანცეროგენული აქტივობის საკვები დანამატებისა და პროდუქტების შესაქმნელად.

ქარჩავა მ.ს., არნანია თ.გ., ბერულავა ი.ო., ჯინჯოლია შ.რ., ქაჯაია ნ.შ.

აღწერილია მკვეთრად გამოსატული ანტიკანცეროგენული ეფექტის მქონე მცენარეული წარმოშობის გლუკოზინოლატების სტრუქტურა და მათი გამოყენების პერსპექტივები ანტიკანცეროგენული პროდუქტების შექმნაში. განხილულია ამ მიზნით ქართული „ფართოფოთლიანი“ წიწმბის (*Lipidium sativum*.L) გამოყენების შესაძლებლობა. განხილულია LS-ის მშრალი ლიოფილური კონცენტრატის გამოყენებით ანტიკანცეროგენული პროფილაქტიკური საკვები პროდუქტების (პურის, კექსის, შოკოლადის) მიღების შესაძლებლობა.

ფიჭვის მტვერის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

ქარჩავა მ.ს., არნანია თ.გ., ჯინჯოლია შ.რ., ბერულავა ი.ო., ხეცურიანი გ.ს., ქაჯაია ნ.შ.

განხილულია საკითხი თანამედროვე „ცივილიზაციის დაავადებების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ნატურალური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების როლისა და შესაძლებლობებისა და ამ მიზნით ფიჭვის მტვერის გამოყენების პერსპექტივების შესახებ. მოყვანილია მსოფლიოში

სხვადასხვა სახეობის ფიჭვის მტვერის კვლევის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზი. ნაჩვენებია, რომ ფიჭვის მტვერი შეიცავს შეუცვლელი ამინომჟავების, ვიტამინების, უმნიშვნელოვანესი მინერალების რთულ კომპლექსს, რაც მისი ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური, ანტიბიოტიკური, ანტიკანცეროგენული, ბიოსტიმულატორული, ანტიდეპრესიული თვისებების განმსაზღვრელი ფაქტორია. ასევე შეიცავს ანტიოქსიდანტებს, მცენარეულ სტეროიდებს, ფენოლურ ნაერთთა სრულ ნაკრებს და ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მრავალ სხვა მინორულ ნივთიერებებს.

ბიომრავალფეროვნების დაცვა და მისი ეკონომიკური ასპექტები.

გიგინეიშვილი დ.გ., ყარაღაშვილი ნ.გ.

ბიომრავალფეროვნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით სერიოზული საფრთხის წინაშეა. მის დაცვა-შენარჩუნებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორი: დღეს შეუძლებელია ადამიანმა სრულად თქვას უარი ეკოსისტემების ექსპლუატაციაზე. ამიტომ გარემოს დაცვითი საქმიანობის განხორციელებისას სპეციალისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ამ საქმიანობის ეკონომიკურ დასაბუთებას, თუ რა ზიანი მიადგება გარემოს ამა თუ იმ პროექტის განხორციელების შემთხვევაში. ასეთი შეფასების გასაკეთებლად ეკოლოგიური ეკონომიკის მიდგომები გამოიყენება. იგი ეფუძნება ეკონომიკას, გარემოსდაცვით მეცნიერებებს, ეკოლოგიას და სახელმწიფო პოლიტიკას. ეკოლოგიური ეკონომიკის ძირითადი ამოცანა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შეფასების კრიტერიუმების და ხერხების განსაზღვრაა. ამ მხრივ გარკვეული პროგრესი არის: შემუშავებულია გენეტიკური, სახეობრივი, ეკოსისტემების ეკონომიკური შეფასების მიდგომები. დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით გარემოს ექსპლუატაციით მიღებული სარგებელი იყოფა პირდაპირ, ირიბ, დამატებით, არსებობის და არასამომხმარებლო ღირებულებად. ბიომრავალფეროვნება აგრეთვე შეიძლება პირდაპირი მოქმედებდეს შემოსავალზე – მაგ. განადგურებულ გარემოში მნიშვნელოვანად შემცირდება ტურისტების ნაკადი, რითაც პროპორციულად შემცირდება ფულადი შემოსავლები.

ვირტუალიზაცია ოპერაციული სისტემა WINDOWS SERVER 2016-ში.

გაბაშვილი თ.გ., გაბაშვილი ნ.გ., ხართიშვილი მ.პ.

ნაშრომში განხილულია ვირტუალიზაცია ოპერაციულ სისტემა Windows Server 2016-ში. ასევე განხილულია Hyper-V ფუნქციის დანიშნულება და მოცემულია თუ რა აპარატურული უზრუნველყოფაა საჭირო მისი Windows Server 2016-ზე ინსტალაციისათვის. გარდა ამისა, აღნიშნულია რომ VM (ვირტუალური მანქანა) უმარტივეს ადმინისტრატორს ერთი ფიზიკური კომპიუტერიდან მეორეში გადასვლას, ასევე საგრძნობლად აადვილებს ქსელური აპლიკაციების და სერვისების მართვის პროცესს.

WINDOWS SERVER 2016-ის შესაძლებლობანი.

გაბაშვილი ნ.გ., აბულაძე ი.ბ., გაბაშვილი თ.გ.

ნაშრომში განხილულია Windows Server 2016-ის ინტეგრირებული გარემო და მისი ძირითადი ფუნქციები. ამასთან ერთად, ნაჩვენებია ახალი ოპერაციული სისტემის უპირატესობანი წინა ვერსიებთან შედარებით.

აირადი ნაკადის სიჩქარის გამოზომი სითბური მიკროელექტრონული სენსორი იმპულსური კვებით. ხაჩიძე თ.ი.

მოცემულია ახალი ტიპის მგრძობიარე ელემენტი თერმოდანემომეტრული დანახარჯზომისათვის. მგრძობიარე ელემენტი ძალიან თხელია (30 მკმ) და შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც ორგანოზომილებიანი ფირფიტა. ასევე შემოთავაზებულია სენსორის იმპულსებით გაცხელების მეთოდი, რის გამოც გვაქვს ნაკადის სიჩქარის დამოკიდებულება არა ძაბვის სიდიდეზე, არამედ მიწოდებული იმპულსების სიხშირეზე. ეს კი თავის მხრივ აადვილებს გამომავალი სიგნალის ციფრულ დაქვეყნებას და ზრდის გაზომვის სიზუსტეს.